

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნობო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის ელისო ქაროსანიძის სახით. ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, მისი უფროსის მამუკა ბერელიძის სახით, (შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული), მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი“ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით უზრუნველყოფს ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმის დაცვას (შემდგომში „ობიექტად“ წოდებული), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ქუთაისი, ბროსეს ქ. №2-ში.

1.2 კლასიფიკატორის კოდი CPV 79713000

1.3 „ობიექტის“ დაცვა განხორციელდება „შემსყიდველი“-ს მიერ „ობიექტის“ დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისთვის“ პაროლის მინიჭების შემდეგ;

1.4 „ობიექტის“ დაცვას ც.დ.პ-ს ერთი გასაღების (პერიმეტრული დაცვითი სიგნალიზაციის) საშუალებით განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს, ქუთაისის დაცვის პოლიციის სამსახური.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მთლიანად შეადგენს 1620 (ათასექვსასოცი) ლარს.

2.2 დაცვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 135 (ასოცდათხუთმეტ) ლარს, დ.დ.გ-ს ჩათვლით;

2.3 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

3.1.1 დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცეს „დამკვეთს“: რადიო გადამცემი, რადიო გადამცემის ყუთი, რადიო გადამცემის პლატა და უზრუნველყოს მათი მონტაჟი-ინსტალაცია;

3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღების შემთხვევაში, დაუყონებლივ გამოცხადდეს „ობიექტზე“ და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;

3.1.3 „ობიექტზე“ მიყენებული ზარალის აღმოჩენისას, „მიმწოდებელი“ აცნობებს „შემსყიდველს“ და უზრუნველყოფს შსს შესაბამისი ორგანოების გამოძახებას, ხოლო მათ მოსვლამდე იცავს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობას;

3.1.4 „შემსყიდველისათვის“ ფაქტიური ზარალის ანაზღაურება „მიმწოდებლის“ მიერ მოხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას;

3.1.6 სიგნალ „განგაშის“ მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად - გამოიძახოს „შემსყიდველი“ ან ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის პასუხისმგებელი პირი;

3.1.7 არ მიიღოს „ობიექტი“ დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები რომლის გამოც, „მიმწოდებლისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „შემსყიდველს“ ეცნობა ტელეფონით ან წერილობით;

3.1.8 „მიმწოდებელი“ მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს, მხოლოდ მაშინ, როდესაც „ობიექტი“ დაცული იყო პერიმეტრული დაცვითი სიგნალიზაციით და „მიმწოდებლის“ მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

3.1.9 „მიმწოდებელი“ ობიექტის დაცვისას მატერიალურ პასუხისმგებლობას არ კისრულობს, თუ იგი მომხდარია „შემსყიდველის“ დაუდევრობით.

3.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

3.2.1 „ობიექტის“ დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 განგაშის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ მისცეს დასაცავი „ობიექტის“ გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი და პაროლი;

2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ "მიმწოდებელს", დაელოდოს "მიმწოდებელის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 ელექტრო-ენერჯის ავარიული გამორთვის შემთხვევაში ვალდებულია იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა შეადგენს 2017 წლის 01 იანვრიდან და 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

5.2 ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს მხარეთა შორის გაფორმებული 2015 წლის 31 დეკემბრის №830 ხელშეკრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, "შემსყიდველი" ვალდებულია ერთი თვით ადრე აცნობოს "მიმწოდებელს" გადაწყვეტილების შესახებ, წერილობითი ფორმით;

6.3 "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში "მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.4 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.5 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილს;

6.6 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება "შემსყიდველთან", ხოლო დანარჩენი "მიმწოდებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"შემსყიდველი"

ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება
მის:ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1
ს.კ. №412678348

ბანკი: საქართველოს ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი (742967519)

გაერთიანების მმართველი



/ ე. ქაროსანიძე /

" მიმწოდებელი "

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, ქ. ქუთაისი
ნიკეას №9; ს/კ 211350928

მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა; იმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი _ TRESG E22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117042

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი



/მ. ბერელიძე./